დანართი №1
დამტკიცებულია
ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის
2026 წლის 12 მაისის ბრძანება №5-ით

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის ხედვა, მისია და ღირებულებები

აკადემიის ხედვა - აკადემია 2031 წლისთვის არის ქვეყნისა და აჭარის რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული დამოუკიდებელი, მრავალპროფილური პროფესიული განათლების დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას.

აკადემიის მისია - აჭარის რეგიონზე მორგებული და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების პოპულარიზაცია, ხარისხზე ორიენტირებული სერვისების გაწევა მომხმარებელთათვის.

აკადემიის ღირებულებები - აკადემია ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და მისი საქმიანობა ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს:

ობიექტურობა - აკადემიის მიერ დადგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს აკადემიის საქმიანობაში ჩართული პირების მიუკერძოებლობას და იცავს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს;

გამჭვირვალობა - აკადემიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმედებლობასთან, აკადემიის მიერ დადგენილ წესებთან/ რეგულაციებთან, საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის;

თანამშრომლობა - აკადემია ღიად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან სიახლეების მისაღებად, წინადადებებისა და განსხვავებული პოზიციების შესაჯერებლად შესაძლო პრობლემების გადასაჭრის მიზნით;

განვითარება - აკადემიის საქმიანობის სისტემატიური შეფასება და შეფასების ანალიზის საფუძველზე განვითარების გზების დაგეგმვა.